ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
კურიკულუმი

ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	**ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი**
პროგრამის დასახელება	**ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ფინანსებში / Bachelor of Business Administration in Finance**
პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა (სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	8 სემესტრი, 240 კრედიტი: ● თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი ● ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი ● თავისუფალი კომპონენტი/დამატებითი სპეციალობა (Minor) /- 60 კრედიტი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამის შემუშავების თარიღი: **2011** პროგრამა განახლდა 2024 წელს. ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, პროგრამა შესაძლებელია განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დაწყების წინ.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	გიორგი პაპავა, ასოცირებული პროფესორი დავით თუთბერიძე, ასოცირებული პროფესორი დავით გამყრელიძე, ასოცირებული პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)	

პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი ეროვნული გამოცდები საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზანია, მოამზადოს ფინანსების დარგში კონკურენტუნარიანი სპეციალისტები სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციაში წარმატებული პროფესიული კარიერისთვის, რომლებიც:

1. აღჭურვილნი იქნებიან ფინანსებთან დაკავშირებული სხვადასხვა ფუნქციის შესრულებისთვის საჭირო თეორიული ცოდნითა და ანალიტიკური უნარებით;
2. მონაწილეობას მიიღებენ ორგანიზაციის ფინანსების ეფექტიან მართვაში.

ამას გარდა, პროგრამა სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას, გაიფართოონ ინტელექტუალური თვალსაწიერი და განივითარონ ისეთი ტრანსფერული უნარები, როგორიცაა არგუმენტაციის, ქართულ და ინგლისურ ენებზე კომუნიკაციისა და აკადემიურ მუშაობასთან დაკავშირებული უნარები.

სწავლის შედეგები

პროგრამის კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულს:

1. ავლენს ბიზნესის ძირითადი დისციპლინების და ფინანსების თანამედროვე თეორიების, ძირითადი კონცეფციებისა და მიდგომების შესახებ საბაზისო ცოდნას;
2. აღწერს ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების როლს და ფუნქციებს, განასხვავებს ფინანსურ ინსტრუმენტებს ტიპისა და დანიშნულების მიხედვით;
3. ავლენს ცოდნას ფინანსური მენეჯმენტის, მათ შორის ინვესტიციების, მათი დაფინანსების წყაროებისა და თანმდევი რისკების მართვის შესახებ;
4. აგროვებს, აორგანიზებს და ანალიტიკური და სტატისტიკური მეთოდების მეშვეობით ამუშავებს ფინანსური ტიპის მონაცემებს;
5. ავლენს საბაზისო ცოდნას ფინანსური ანგარიშგების კომპონენტების, ელემენტების და მათი მომზადების მეთოდების შესახებ;
6. შეუძლია ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების ანალიზი, შეფასება და ინტერპრეტაცია;
7. ამყარებს ეფექტურ კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან როგორც ვერბალურად, ასევე წერილობით, შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით;
8. განსაზღვრული კომპეტენციების ფარგლებში ითვალისწინებს ეთიკის, პროფესიული პასუხისმგებლობის და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს.

პროგრამის სტრუქტურა

ფინანსები (ძირითადი სპეციალობა) საბაკალავრო პროგრამის მოცულობა - 240 კრედიტი:

- **თავისუფალი კომპონენტი: ზოგადი მოდული - 60 კრედიტი;**
- **ძირითადი სწავლის სფერო - 120 კრედიტი:**
    - სავალდებულო კურსები - **102 კრედიტი**
    - არჩევითი კურსები - **18 კრედიტი**
- **თავისუფალი კომპონენტი/დამატებითი სპეციალობა - 60 კრედიტი.**

თავისუფალი კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტს შეუძლია სწავლების მესამე სემესტრიდან აირჩიოს დამატებითი სპეციალობა (minor) ან გაიაროს სხვადასხვა საბაკალავრო პროგრამებში შეთავაზებული სასწავლო კომპონენტები 60 კრედიტის მოცულობით.

სწავლების მეთოდები

- ლექცია;
- სემინარი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი;
- შებრუნებული საკლასო ოთახის მეთოდი (Flipped Classroom);
- შემთხვევის ანალიზი;
- დისკუსია;
- ჯგუფური მუშაობის მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- რეფლექსია;
- სიმულაცია;
- დემონსტრირების მეთოდი;
- მოდელირება;
- პრეზენტაცია;
- ელექტრონული სწავლების მეთოდი;
- გონებრივი იერიში;
- გამოცდილებითი სწავლება;
- დაკვირვება;
- სუპერვიზია;
- ანალიზი;
- სინთეზი;
- ხარაჩოს მეთოდი (scaffolding).

შენიშვნა: *პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები დაკონკრეტებულია შესაბამისი კურსების სილაბუსებში/კონცეფციებში.*

შეფასების წესი

სასწავლო კომპონენტის შეფასება მიმდინარეობს 100 ქულიანი სისტემით:
(A) 91-100 ფრიადი
(B) 81-90 ძალიან კარგი
(C) 71-80 კარგი
(D) 61-70 დამაკმაყოფილებელი
(E) 51-60 საკმარისი
(FX) 41-50 ვერ ჩააბარა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F)0-40 ჩაიჭრა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შენიშვნა: ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში და კონცეფციაში განსაზღვრულია შეფასების შესაბამისი კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები.

დასაქმების სფეროები

"ფინანსები (ძირითადი სპეციალობა)" საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეიძლება დასაქმდნენ კერძო ან საჯარო სექტორის სხვადასხვა დამწყებ მენეჯერულ და ანალიტიკურ პოზიციებზე ფინანსების მიმართულებით. ასევე, პროგრამის კურსდამთავრებულს შესაძლებლობა აქვს სწავლა განაგრძოს უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე - მაგისტრატურაში.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სალექციო აუდიტორიები და კომპიუტერული კლას(ებ)ი;
- საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა;
- არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა ,,არგუსი";
- TurnitIn, Elearning;
- ბუღალტრული აღრიცხვისა და ბიზნეს ოპერაციების პროგრამა ,,ბალანსი";
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური წერის ცენტრი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექ მეწარმეობისა და ინოვაციების განვითარების ცენტრი, პრეაქსელატორი Zoom-out, სამეწარმეო ინოვაციების ლაბორატორია Fab Lab და Startup Grind.

ურთიერთთანამშრომლობის ფარგლებში:
"საქართველოს ეროვნული ბანკი", "საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო", "დიჯიტრონი", "ფიაბსი ჯორჯია", "საქართველოს პროფესიონალ ბუღალტართა და აუდიტორთა ფედერაცია", "პი ემ სი კვლევითი ცენტრი", "ანოვა", "ებიტ კონსალტინგი".